აღნაგობის ხელშეკრულება

საქართველო თბილისი 1 სექტემბერი 2015 წ

ხელშეკრულების მხარეები:

1. წინამდებარე ხელშეკრულების მხარეები არიან:
   ა) მოაღნაგე: მიწის მესაკუთრე- ფიზიკური პირი მანანა ბოლქვაძე პ.ნ 01005004660 მცხ. ქ. თბილისი. ი. ჭავჭავაძის 49/49ბ ბინა 16
   ბ) მეაღნაგე: ამხანაგობა „მანა ჰაუსი" რეგ/ ნ 205315318
   იურიდიული მისამართი: ვაკე-საბურთალო, ჭავჭავაძის გამზ. N49/49ბ, სართ 2, ოფისი N3, მისი თავჯდომარის მანანა ბოლქვაძის სახით პ/ნ 01005004660

მუხლი1. ხელშეკრულების საგანი

მოაღნაგე (მიწის მესაკუთრე) იღებს ვალდებულებას ვადიან სარგებლობაში გადასცეს,ხოლო მეაღნაგე იღებს ხელშეკრულებით განსაზღვრული მიწის ნაკვეთს მდებარე საქართველო ქ. თბილისი მრავალბინიანი საცხოვრებლის აღმართვის მიზნით (ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმებული პროექტი **ბრძანება № 1960875** გაცემის თარიღი: 17/06/2015. განცხადების ნომერი: AR1308436)

1.1.) და ამ პროექტის მიხედვით განახორციელოს მრავალბინიანი სახლის მშენებლობა დადგენილი ვადებით

1.2. 1.2 მხარეები თანხმდებიან, რომ აშენებულ მრავალბინიან საცხოვრებელ ფართებიდან მანანა ბოლქვაძეს გადაეცემა 4 ბინა (ფართებით 54,68კვ.მ;105,15კვ.მ; 54,68კვ.მ; 165,5კვ.მ ოდენობით, საცხოვრებელი თეთრი კარკასის მდგომარეობაში.

- მიწის ნაკვეთი არის ფიზიკური პირის მანანა ბოლქვაძის პ/ნ 01005004660 საკუთრება რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით : განცხედების რეგ N 882013619160
- მიწის ნაკვეთის მახასიათებლებია:საკადასტრო კოდი: 01.14.16.015.159
- მისამართი: ქალაქი თბილისი , ვაკის რაიონი , ნაკვეთი 15/159
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 730.0 კვ.მ

მუხლი2. ხელშეკრულების ვადა

2.1 აღნაგობის ხელშეკრულება იდება სამი წლის ვადით, ეს ვადა აითვლება ამ ხელშეკრულებაზე ხელისმოწერიდან.

2.2 აღნაგობის უფლება ვადაზე ადრე შეწყდება წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი საფუძვლებით

მუხლი3 ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

3.1 წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) მიწის ნაკვეთი ფიზიკური პირის მანანა ბოლქვაძის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი საკ კოდი N01.14.16.015.159 : რომელიც წინამდებარე ხელშეკრულებით იტვირთება აღნაგობის უფლებით და რომელზეც მეაღნაგემ უნდა ააშენოს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი , დაასრულოს მშენებლობა ექსპლუატაციაში გადაცემისათვის.

ბ) ნაგებობა/ შენობა-ნაგებობა-მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

მიწის ნაკვეთზე მეაღნაგის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე აღსამართი შენობა-ნაგებობა

გ) ინდივიდუალური საკუთრების ფართი:მშენებარე/მშენებლობა დასრულებულ ნაგებობაში მდებარე ფართები, რომელიც ექვემდებარება ინდივიდუალურ საკუთრებაში გადაცემას და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის“ შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით არ წარმოადგენს საერთო საკუთრების ობიექტს.

მუხლი 4. შენობა-ნაგებობისა და მიწის მესაკუთრე

4.1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 234-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, „აღნაგობის საფუძველზე აშენებული ნაგებობა ითვლება აღნაგობის უფლების არსებით შემადგენელ ნაწილად და რეგისტრირდება აღნაგობის უფლების მქონე პირის საკუთრებად“, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მეაღნაგე შეასრულებს მოაღნაგის წინაშე ამ ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებას.

4.2 მიწის ნაკვეთი რჩება ფიზიკური პირის მანანა ბოლქვაძის საკუთრებად, მანამდე სანამ მეაღნაგე სრულად არ შეასრულებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, რის შემდეგაც მეაღნაგის მიერ მოაღნაგის სასარგებლოდ მიწის ნაკვეთის ათვისების მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად გამოყენების) შემდეგ დარჩენილი აუთვისებელი (თავისუფალი) მიწის ნაკვეთი საკუთრებაში გადაეცემა მეაღნაგეს, მას შემდეგ როდესაც საცხოვრებელი ბინები გადაეცემა მოაღნაგეს საკუთრებაში

4.3 მხარეებს უფლება აქვთ, მოცემული ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებებისა და შეზღუდვების გათვალისწინებით, მშენებარე შენობა-ნაგებობაში და საცხოვრებელ ბინებში განთავსებულ ინდივიდუალურ ფართებზე საკუთრების უფლება წინასწარ დაირეგისტრირონ საჯარო რეესტრში

მუხლი 5. მიწის ნაკვეთის უფლებრივი უნაკლობა

5.1 მოაღნაგე (მესაკუთრე) ვალდებული, უზრუნველყოს მიწის ნაკვეთების უფლებრივი უნაკლობა, კერძოდ:

ა) მიწის ნაკვეთს არ უნდა ედოს ყადაღა არ უნდა იყოს დატვირთული საგადახადო ვალდებულებით

ბ)მოაღნაგეს (მესაკუთრის) მიერ წარმოდგენილი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან უნდა იყოს ნამდვილი და ზუსტად ასახავდეს მესაკუთრის უფლებებსა და მის სამართლებრივ მდგომარეობას.

5.2 წინამდებარე ხელშეკრულების 5.1 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში პასუხისგებლობა ეკისრება მოაღნაგეს (მესაკუთრეს)

მუხლი 6. მიწის ნაკვეთის ნივთობრივი უნაკლობა

6.1 მესაკუთრე ადასტურებს, მიწის ნაკვეთი ნივთობრივად უნაკლოა: მან მეაღნაგეს კეთილსინდისიერად და სრულად გააცნო მიწის ნაკვეთის მდგომარეობა;

6.2 მესაკუთრემ განაცხადა, რომ მიწის ნაკვეთს არა აქვს ისეთი დაფარული ნაკლი, რაც დაუმალა მეაღნაგეს და რაც შეამცირებს მიწის ნაკვეთის ღირებულებას, ან რაც ხელს შეუშლის მიწის ნაკვეთის წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული დანიშნულებით გამოყენებას.

6.3 მეაღნაგე აცხადებს, რომ მიწის ნაკვეთი გამოსადეგია იმ მიზნებისთვის, რა მიზნითაც აღნაგობით დაიტვირთა მიწის ნაკვეთი

6.4 მეაღნაგე ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია მიწის ნაკვეთის ნივთობრივი და უფლებრივი მდგომარეობა და მან მოიწონა ეს მდგომარეობა

მუხლი7. მოაღნაგის უფლება-მოვალეობები

1. მოაღნაგე (მესაკუთრე) უფლებამოსილია:
   ა) ნებისმიერ დროს დაათვალიეროს და შეამოწმოს აღნაგობით გადაცემული ქონება;
   ბ) ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მეაღნაგის ბრალით აღნაგობით გადაცემული ქონების გაუვარგისების ან /და ღირებულების შემცირების შემთხვევაში, მის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, მეაღნაგეს მოსთხოვოს გადაცემული

ქონების აღდგენა ან ზიანის ანაზღაურება, ასევე მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა;

გ) გაასხვისოს აღნაგობით გადაცემული მიწის ნაკვეთი მეაღნაგის თანხმობის გარეშე, იმ პირობით, რომ ახალი მესაკუთრის ხელში აღნაგობის პირობები იგივე დარჩება;

2. მესაკუთრე ვალდებულია:

ა)უზრუნველყოს მეაღნაგის დაშვება მიწის ნაკვეთზე ხელშეკრულების გაფორმებისთანავე;

ბ) ხელი შეუწყოს მეაღნაგეს, ხელშეკრულების შესაბამისად, სრულფასოვნად ისარგებლოს მიწის ნაკვეთით;

გ) მხოლოდ მეაღნაგის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში შესვლისთანავე გადასცეს საკუთრებაში მიწის ნაკვეთი მეაღნაგეს.

მუხლი8. მეაღნაგის უფლება-მოვალეობები

8.1 მეაღნაგე უფლებამოსილია:

ა) აღნაგობით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე აღმართოს შენობა-ნაგებობა (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) და ისარგებლოს მხოლოდ სამშენებლოდ გამიზნული ტერიტორიით

ბ) წინამდებარე ხელშეკრულების ხელისმოწერისთანავე მოსთხოვოს მოაღნაგეს მიწის ნაკვეთზე დაშვება იმ მიზნით, რომ მშენებლობის ნებართვის აღებამდე შეასრულოს აუცილებელი სამუშაოები, რომელიც დააჩქარებს და ხელს შეუწყობს მეაღნაგეს მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

გ) მოიძიოს სხვა ინვესტორი, რომელთან ერთადაც უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას და ასეთ შემთხვევაში სხვა ინვესტორის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებაზე თავად იქნება პასუხისმგებელი მოაღნაგის წინაშე

8.2 მეაღნაგე ვალდებული:

ა) მანანა ბოლქვაძეს საკუთრებაში გადასცეს საცხოვრებელი ფართი თეთრი კარკასის მდგომარეობაში

ბ) გამოიყენოს აღნაგობით გადაცემული მიწის ნაკვეთი ამ ხელშეკრულების შესაბამისად, მიიღოს ყველა ზომა მიწის ნაკვეთის დაცვის და ნორმალურ მდგომარეობაში შენარჩუნებისათვის;

გ)აღნაგობის უფლება გაასხვისოს, გადასცეს თხოვებით, იჯარით ან იპოთეკით დატვირთოს, მხოლოდ მოაღნაგის სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობის შემთხვევაში

დ) საკუთარი ბრალით მიწის ნაკვეთის გაუვარგისების, მისი ღირებულების შემცირების შემთხვევაში უმოკლეს ვადაში საკუთარი სახსრებით გამოასწოროს მიწის ნაკვეთის მდგომარეობა ან/და აუნაზღაუროს მოაღნაგეს (მესაკუთრეს) მიყენებული ზიანი;

ე) აღნაგობის უფლების შეწყვეტისას არ მიისაკუთროს მოაღნაგის (მესაკუთრის) კუთვნილი ნაგებობა ან/და და მისი შემადგენელი ნაწილი;
ვ) აცნობოს მესაკუთრეს ყველა გარემოების შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს აღნაგობით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე;
ზ) მოაღნაგეს (მესაკუთრეს), მისი მოთხოვნის საფუძველზე, წარუდგინოს აღნაგობით გადაცემული მიწის ნაკვეთთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტი ან ინფორმაცია;
თ) დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ხანძარსაწინააღმდეგო, უსაფრთხოებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები, უზრუნველყოს გადაცემული მიწის ნაკვეთის მოვლა -პატრონობა, კეთილსინდისიერად ისარგებლოს აღნიშნული ქონებით;
ი) იმ შემთხვევაში თუ საფრთხე შეექმნება მეაღნაგეს მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას, მეაღნაგე ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე უზრუნველყოს თავის ნაცვლად სხვა ინვესტორის მოძიება მოაღნაგის წინაშე, ისე რომ არ დაირღვეს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადები და დაცული იქნას წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ყველა პირობა

მუხლი9. ხელშეკრულების განსაკუთრებული პირობები
9.1 მეაღნაგის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 1.2 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ მხარეები თანხმდებიან, რომ დარჩენილი მიწის ნაკვეთი საკუთრებაში გადაეცეს მეაღნაგეს.

მუხლი10. მიწის ნაკვეთის გადაცემა, მიწის ნაკვეთის დაბრუნების პირობები
10.1 მეაღნაგის მიერ მოაღნაგის სასარგებლოდ მიწის ნაკვეთის ათვისების (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად გამოყენების) შემდეგ დარჩენილი აუთვისებელი (თავისუფალი) მიწის ნაკვეთის მეაღნაგისათვის გადაცემა ხორციელდება მხარეთა მიერ შესაბამისი მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმების მეშვეობით, რომელსაც ხელს აწერენ მხარეები. მიღება -ჩაბარების აქტში აღიწერება მიწის ნაკვეთის მდგომარეობა და აისახება მხარეთა შენიშვნები
10.2 მეაღნაგისათვის მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება მუსაკუთრისათვის ფართების სრულად გადაცემისთანავე.
10.3. მოაღნაგეს მიერ მეაღნაგესათვის მიწის ნაკვეთის დაგვიანებით გადაცემის შემთხვევაში მეაღნაგე უფლებამოსილია მოითხოვოს აღნიშნულით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მუხლი11. აღნაგობის უფლების ვადამდე შეწყვეტა
11.1 მხარეები უფლებამოსილნი არიან, ურთიერთშეთანხმების შემთხვევაში შეწყვიტონ აღნაგობა ამ ხელშეკრულებით დადგენილი ვადის გასვლამდეც.

11.2 მოაღნაგეს (მესაკუთრეს) შეუძლია ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა, თუ მეაღნაგე:
ა) გადაცემულ ქონებას არ იყენებს დანიშნულებისამებრ;
ბ) უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;
გ) აუარესებს გადაცემული ქონების მდგომარეობას;
დ) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა გარემოებების დადგომის შემთხვევაში;- სამი წლის ვადაში მეაღნაგემ თუ ვერ აწარმოა სამშენებლო სამუშაოები, მოაღნაგეს უფლება აქვს შეწყვიტოს აღნაგობის ხელშეკრულება და ხელშეკრულება გააფორმოს სხვა მეაღნაგესთან.
11.3. აღნაგობის უფლება არ ისპობა მიწის ნაკვეთზე აღმართული შენობის დანგრევით;
11.4 აღნაგობის უფლების შეწყვეტით ნაგებობა გადადის მიწის მესაკუთრის საკუთრებაში და მეაღნაგეს არ აქვს წაიღოს ნაგებობა ან მისი შემადგენელი ნაწილი.

მუხლი 12. მშენებლობის განხორციელება

12.1 მხარეები თანხმდებიან, რომ მეაღნაგე აღნაგობის უფლებით დატვირთულ მიწის ნაკვეთზე აღმართავს მრავალბინიან საცხოვრებელ სახლს ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის მიერ დამტკიცებული მშენებლობის ნებართვით გათვალისწინებული პროექტის შესაბამისად;
12.2. შენობა-ნაგებობის (მრავალბინიანი) საცხოვრებელი სახლის) პროექტის კორექტირება საჭიროებს მესაკუთრის თანხმობას.
12.3 მესაკუთრის თანხმობა არ არის საჭირო მაშინ, როდესაც კორექტირება ეხება სამშენებლო კოეფიციენტის ცვლილებას

მუხლი13. ვალდებულებათა შესრულების ვადები

13.1 მეაღნაგე ვალდებულია, მშენებლობა დაიწყოს მიწის ნაკვეთზე 6 თვეში ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან. ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ მოაღნაგეს (მიწის მესაკუთრეს) უფლება აქვს მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა.
13.2 მეაღნაგე ვალდებულია, საცხოვრებელი სახლის კორპუსი დაასრულოს თეთრი კარკასის სახით. მოიყვანოს წესრიგში ექსპლუატაციაში გადასაცემად (წყალი, კანალიზაცია, დენი, გაზი და სხვა) ჩაბარებისათვის. აღნაგობის უფლების მოქმედების ვადაში (სამი წელი), აღნიშნული ვადის დარღვევის შემთხვევაში მოაღნაგეს (მიწის მესაკუთრეს) უფლება აქვს მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა და მიწის ნაკვეთზე განხორციელებული მშენებლობიდან არანაკლებ 1.2 მითითებული ფართისა დაიტოვოს საკუთრებაში

მუხლი14. მშენებარე ობიექტის და ფართების განკარგვა

14.1 მეაღნაგე უფლებამოსილია მოაღნაგისათვის (მიწის მესაკუთრისათვის) გადაცემული ფართის გადაცემის შემდეგ კორპუსში დარჩენილი სხვა საცხოვრებელი ბინები გაასხვისოს სხვა პირებზე

14.2 მხარეები მკაფიოდ აცხადებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის / მოშლის/ გაუქმების შემთხვევაში მესაკუთრეს არ გადაეცემა მეაღნაგის ვალდებულებები მესამე პირების მიმართ

მუხლი15. მოაღნაგის (მესაკუთრის) უფლების უზრუნველყოფის შესახებ

15.1 მხარეთა შეთანხმებით, მოაღნაგის უფლებების უზრუნველსაყოფად უნდა გაკეთდეს წინასაწარ ჩანაწერი რეესტრში. წინასაწარი ჩანაწერის სახით მიეთითება, რომ მეაღნაგეს აქვს ვალდებულება ფართი საკუთრებაში გადასცეს მოაღნაგეს.

15.2 წინასაწარ ჩანაწერში სხვა აუცილებელ მონაცემებთან ერთად უნდა აღინიშნოს ფართის ზუსტი ადგილმდებარეობა, სართული, ნომერი და ფართის ზუსტი ფართობი. ფართის ადგილმდებარეობის შესახებ მხარეები შეთანხმებული არიან დამატებით.

მუხლი16. მხარეთა პასუხისმგებლობა

16.1 მხარეები, მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პასუხს აგებენ მოცემული ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

16.2 მეაღნაგის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების დარღვევის გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მეაღნაგე ვალდებულია მის მიერ მიწის ნაკვეთზე განხორციელებული მშენებლობიდან არანაკლებ ხელშეკრულების 1.2 მუხლში მითითებული ფართი დატოვოს მიწის მესაკუთრის საკუთრებაში და როდესაც ახალი ინვესტორი ჩაენაცვლება ძველ ინვესტორს, ამ უკანასნელის მიერ მიწის ნაკვეთზე განხორციელებული სამუშაოების (მათ შორის მიწის, გეოლოგიურ, არქიტექტურულ და სხვა) ღირებულებას აუნაზღაურებს მეაღნაგეს

მუხლი 17. ფორსმაჟორი

17.1 იმ შემთხვევაში, თუ მთლიანად ხელშეკრულების ან რომელიმე სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება შეზღუდულია ან შეუძლებელი გახდა ისეთი გარემოებათა გამო, რომელზეც ხელშეკრულების მხარის კონტროლი არ ვრცელდება, კერძოდ:

ა) ხანძარი, აფეთქება, ეპიდემია, ქარიშხალი, მეწყერი, წყალდიდობა, მიწისძვრა ან ნებისმიერი სხვა მსგავსი სახის ბუნებრივი მოვლენა;

ბ) ომი, სახელმწიფო თუ სამხედრო გადატრიალება, სამოქალაქო არეულობა, ბლოკადა ან სხვა მსგავსი მოვლენა;

გ) ასევე საქართველოს ხელისუფლების (საკანონმდებლო, აღმასრულებელი ან/და სასამართლო) აქტი , გადაწყვეტილება ან დადგენილება, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ იქნა გამოცემული;

დ) ან/და ნებისმიერი ისეთი გარემოება, რომელიც დადგა „მხარეთა" არაბრალეული ქმედებების გამო ან საქართველოს კანონმდებლობის თანახმად ითვლება ფორსმაჟორული ხასიათის მქონედ, მხარე , რომელსაც ეკისრებოდა ვალდებულებების შესრულება გათავისუფლდება ხელშეკრულებით, ან მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული ფორს-მაჟორული გარემობების პასუხისმგებლობისაგან

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

თანხმობა

მე, გიორგი ბახტაძე (პირადი #01008003024), როგორც, ქ. თბილისი. ვაკის რაიონი, მიწის ნაკვეთზე N15/159-ზე (საკადასტრო კოდი: 01.14.16.015.159) მშენებარე შენობა-ნაგებობაში, მე-3-ე სართულზე, ბინა N12-ის (საკადასტრო კოდით: 01.14.16.015.159.01.01.012) სამომავლო მესაკუთრე ვაცხადებ თანხმობას მასზედ, რომ შპს „დაირექტ რიფიტი“ (საიდენტიფიკაციო კოდით: 202204532) ან/და ფიზიკური პირი მანანა ბოლქვაძე (პირადი N01005004660) ან/და ბინათმენაშენეთა ამხანაგობა „მანა ჰაუსი“ (საიდენტიფიკაციო კოდით: 205315318) უფლებამოსილია განახორციელოს ქ. თბილისი. ვაკის რაიონი, მიწის ნაკვეთზე N15/159-ზე (საკადასტრო კოდი: 01.14.16.015.159) მშენებარე შენობა-ნაგებობის მშენებლობის პროექტის კორექტირება, შეთანხმებული პროექტის გაუქმება და ახალი მშენებლობის პროექტის შემთანხმება, შენებლობის ნებართვის ცვლილება და სხვა.

გიორგი ბახტაძე

22/02/2017 წ.

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N170185443
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	23.02.2017 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	დარეჯან ახალბედაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი, ქუჩა მტკვარი, #6, სართული 1.
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	591706628
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	42515583072817

მე, ნოტარიუსი დარეჯან ახალბედაშვილი, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე: ქ. თბილისი, ქუჩა მტკვარი, #6, სართული 1. ვამოწმებ წარმოდგენილ თანხმობაზე გიორგი ბახტაძის (დაბ. 15.01.1977 წ, თბილისი . პირადი # 01008003024, რეგ: თბილისი ირ.აბაშიძის ქ. N 72 ბ. 34) ხელმოწერის სინამდვილეს, რომელიც შესრულებულია ჩემი თანდასწრებით. ხელისმომწერს განემარტა, რომ ნოტარიუსი არ ადასტურებს დოკუმენტში მოყვანილ ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მასზე. დოკუმენტზე ხელისმომწერის პირადობა დადგენილია, ქმედუნარიანობა და ნების გამოხატვის ნამდვილობა შემოწმებულია. გადახდილია სახელმწიფო თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფოსა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" (2011 წლის 29 დეკემბერი დადგენილება #507), სულ: 4.36 ლარი, მათ შორის: მ. 31.3. 2, 00 ლ. დღგ. 0.36 ლ. + მ. 39.1. 2, 00. ლ.

ნოტარიუსი

საქართველო ნოტარიუსი დარეჯან ახალბედაშვილი GEORGIA NOTARY DAREJAN AKHALBEDASHVILI 01019017297

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მის შექმნის, შეცვლის ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე (+995 32) 2 66 19 19

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

მე, მანანა ბოლქვაძე (პირადი N01005004660), როგორც **ბინათმენაშენეთა ამხანაგობა „მანა ჰაუსი“-ს (საიდენტიფიკაციო კოდით: 205315318; „მეაღნაგე“)** ხელმძღვანელი გამოვთქვამ თანხმობას, მასზედ, რომ შპს „დაირექტ რიფიტი“ (საიდენტიფიკაციო კოდით: **202204532**) ან/და ფიზიკური პირი მანანა ბოლქვაძე (პირადი N01005004660) უფლებამოსილია განახორციელოს ქ. თბილისი. ვაკის რაიონი, მიწის ნაკვეთზე N15/159-ზე (საკადასტრო კოდი: 01.14.16.015.159) მშენებარე შენობა-ნაგებობის მშენებლობის პროექტის კორექტირება, შეთანხმებული პროექტის გაუქმება და ახალი მშენებლობის პროექტის შემთანხმება, შენებლობის ნებართვის ცვლილება და სხვა.

მანანა ბოლქვაძე ---------- მანანა ბოლქვაძე

22/02/2017 წ.

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N170183750
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	23.02.2017 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	დარეჯან ახალბედაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი, ქუჩა მტკვარი, #6, სართული 1.
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	591706628
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	20193081927317

მე, ნოტარიუსი დარეჯან ახალბედაშვილი, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე: ქ. თბილისი, ქუჩა მტკვარი, #6, სართული 1. ვამოწმებ წარმოდგენილ თანხმობაზე მანანა ბოლქვაძის (დაბ. 03.04.1969წ. თბილისი. პირადი # 01005004660, მცხ. თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 49ბ ბ. 16) ხელმოწერის სინამდვილეს, რომელიც შესრულებულია ჩემი თანდასწრებით. ხელისმომწერს განემარტა, რომ ნოტარიუსი არ ადასტურებს დოკუმენტში მოყვანილ ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მასზე. დოკუმენტზე ხელისმომწერის პირადობა დადგენილია, ქმედუნარიანობა და ნების გამოხატვის ნამდვილობა შემოწმებულია. გადახდილია საზღაური თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" (2011 წლის 29 დეკემბერი დადგენილება #507), სულ: 4.36 ლარი, მათ შორის: მ. 31.3. 2, 00 ლ. დღგ. 0.36 ლ. + მ. 39.1. 2, 00. ლ.

ნოტარიუსი

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18